# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი №69

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი - 18/12/2019 წ

სხდომის დაწყების დრო - 16:00 სთ

სხდომის დამთავრების დრო - 19:09 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ქეთევან ქოქრაშვილი

საბჭოს მდივნი - ნინო ლიპარტია

სხდომის მდივანი - სალომე თოთიბაძე, ლევან გორდეზიანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი; (საბჭოს თავმჯდომარე);
2. გიორგი ამილახვარი - შპს ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი; (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
3. ნინო ლიპარტია - „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი; (საბჭოს მდივანი);
4. ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
5. სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
8. სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი;
9. თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე;
10. ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
11. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
12. გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

| № | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | ანი ლელაძე | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი |

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

| № | სახელი, გვარი | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| 1 | თეა კორძაძე | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | I |
| 2 | ინგა აბარამიძე | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | I |
| 3 | ნინო ჩიხლაძე | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | „ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი | I |
| 4 | გიორგი სოსიაშვილი | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | რექტორი | II-III |
| 5 | ციური დურული | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი | II-III |
| 6 | მაია ჩქარეული | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტიი | „ანგლისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი | II-III |
| 7 | ზურა ჩხიკვაძე | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი | II-III |
| 8 | ედუარდ რ. რაუპი | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი | II-III |
| 9 | ირმა გრძელიძე | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | IV |
| 10 | ნინო კვირიკაშვილი | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი | IV |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11 | არჩილ ჯანგირაშვილი | შპს - საქართველოს უნივერსიტეტი | აკრედიტაციის განყოფილების უფროსი | V |
| 12 | მარიამ სილაგავა | შპს საქართველოს უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი | V |
| 13 | თინათინ ღუდუშაური | შპს - საქართველოს უნივერსიტეტი | ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანი | V |
| 14 | მაკა ჩხეიძე | შპს - საქართველოს უნივერსიტეტი | „ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი | V |

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

| № | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|
| 1 | ნინო პოპიაშვილი | | I |
| 2 | ნინო ჯოჯუა | | II-III |
| 3 | ლალი ბერიშვილი | | II-III |
| 4 | ანჟელა აბულაძე | | II-III |
| 5 | ემზარ კახიძე | | IV |
| 6 | ნიკა კიკნაძე | | IV |
| 7 | თინათინ კიღურაძე | | V |

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ანგლისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- ✓ კი

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ანგლისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
5. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | ფილოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[2] | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3] | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[4] | დოქტორანტურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[5] | მერვე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | ფილოლოგიის დოქტორი |

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

| | | |
|---|---|---|
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[7] | 0232 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 14 | განხორციელების ადგილი[8] | საქართველო 4600, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59, სასწავლო კორპუსი 3 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტს, რათა მას ვიზიტის თაობაზე პოზიცია დაეფიქსირებინა.

---

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა გახლდათ ახალი, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა გარკვეული სახის რეკომენდაციები, პროგრამა შესაბამისობაში არის პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან, მეტწილად შეესაბამება მეორე სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან მიმართებით პროგრამა არის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. პროგრამის განვითარების მიზნით, მიზანშეწონილია დოქტორანტების კანდიდატების შერჩევისას დაკონკრეტებული იყოს სამეცნიერო ნაშრომისა და რეფერატის მახასიათებლები. დაწესებულების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფუნქციონირებდა ფილოლოგიის სხვა სადოქტორო პროგრამაც ევროპული ლიტერატურის მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის თანახმად მიზანშეწონილი არის აღნიშნული დარგების გაერთიანება, ვინაიდან „ფილოლოგიის" სადოქტორო პროგრამის ნაწილში შედის როგორც ევროპული, ასევე აღმოსავლური ენათმეცნიერების საკითხები. დაწესებულება ჩართული არის საერთაშორისო ბიბლიოთეკების სისტემების ონლაინ კატალოგში. ზოგიერთ სილაბუსში არ იყო დაზუსტებული ლიტერატურა. სასწავლო კურსების ნაწილი მოითხოვსა სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციის ცოდნას. მიზანშეწონილია წინაპირობების სახით იყოს მითითებული. კვლევების პოპულარიზაციის მიზნით უმჯობესია მოხდეს სამი ნაშრომიდან ერთ-ერთის გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში.

## საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მუშაობის პროცესში უკავშირდება ყველა სამიზნე ჯგუფს. პროგრამას გავლილი აქვს გარე შეფასებები და გათვალისწინებულია შენიშვნები, ასევე მოხდება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინებაც. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, ფრანგული, რუსული ან სხვა ევროპული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენა, ასეთის არ ქონის შემთხვევაში კი მათ უტარდებათ ტესტირება. ციტირების სტილი, ნაშრომის მახასიათებლები გაწერილია დებულებაში. დაწესებულებას გააჩნია სამეცნიერო ბაზები, რომლებსაც აქტიურად იყენებენ სტუდენტები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ თუ დიფერენციაცია განხორციელდება და გაიყოფა ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა, აღნიშნული პროგრამაში დარჩება ქართული ფილოლოგია.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმ სტუდენტებისათვის ვინც აბარებდა მეორე ენას B2 დონეზე, ჯერ კიდევ დარჩენილი იყო რუსული ენა, ვინაიდან დოქტორანტების გარკვეულმა ნაწილმა იცოდა აღნიშნული ენა. თუმცა პერსპექტივაში სამომავლოდ ჩანაცვლდებოდა რუსული ენა, ვინაიდან სკოლებში მეორე ენად მეხუთე კლასიდან შედის ევროპული ენა. დაწესებულებაში უკვე განხორციელდა 7 დისერტაციის დაცვა კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით.

ექსპერტმა განაცხადა რომ, ექსპერტთა ჯგუფმა ნახა სადისერტაციო ნაშრომები და შედეგები არის დამაკმაყოფილებელი. აღსანიშნავია, რომ ხდება ნაშრომების გადაგზვნა საერთაშორისო ექსპერტებისათვის მათი გამოქვეყნების გარეშე, რაც თავის მხრივ არ არის ცუდი, თუმცა უმჯობესია მოხდეს მათი გამოქვეყნება საერთაშორისო ჟურნალებში.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა კითხვით მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა როგორი არის აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონე, რამდენად აქვთ მათ დოქტორანტის ხელმძღვანელობის გამოცდილება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალი ფლობდა ევროპულ ენას, მათ შორის ინგლისურ ენას, არიან გამოცდილი მეცნიერები ხელმძღვანელობის თვალსაზრისით. ექსპერტების დაინეტერსება უფრო მეტად ეხებოდა უახლეს კვლევებზე ორიენტირებას. თავად საერთაშორისო ექსპერტი, რებეკა გოულდი გახლდათ აღმოსავლეთმცოდნე და მან აღნიშნა რომ გამოიყენებოდა გასული საუკუნის მოძველებული ლიტერატურა. ევროპულ ენებთან მიმართებით აღნიშნული პრობლემა არ ფიქსირდება ვინაიდან აღნიშნული მიმართულებით არსებობს ბევრი ახალი რესურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტი ჩააბარებდა რუსულ ენას, მას აუცილებლად მოუწევდა სწავლის პროცესში მეორე უცხო ენის არჩევა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ჩანაწერი რუსულ ენასთან დაკავშირებით დოკუმენტაციაში იყო ბუნდოვანი, თუმცა მოცემული მომენტისათვის აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებული არის.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლური დაინტერესდა უცხოელ სტუდენტებთან მიმართებით მოწმდებოდა თუ არა ქართული ენის B2 დონეზე ცოდნა და რა მექანიზმები გამოიყენებოდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ხორციელდებოდა „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამა და 4 კომპეტენციაში ხდებოდა ქართული ენის B2 დონის შემოწმება.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 16:51 სთ
დამთავრების დრო - 17:00 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[10] | ფილოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[11] | ახალი |

[10] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[11] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

| | | |
|---|---|---|
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[12] | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[13] | დოქტორანტურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[14] | მერვე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | ფილოლოგიის დოქტორი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[15] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[16] | 0232 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 14 | განხორციელების ადგილი[17] | საქართველო 4600, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59, სასწავლო კორპუსი 3 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[18] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

2. მეორე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19] | ინგლისური ფილოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[20] | აკრედიტებული |

[12] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[13] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[14] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[15] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[16] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[17] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[18] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

[19] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[20] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

| | | |
|---|---|---|
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 04 დეკემბერი, №240 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[21] | ინგლისური ფილოლოგია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[22] | ბაკალავრიატი |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[23] | მეექვსე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[24] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0231 ენის დაუფლება |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[25] | 100502 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი[26] | საქართველო 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №68, კორპუსი 2 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[27] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ კი

ნინო ლიპარტია, თეა მჭედლური

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან.

---

21 საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

22 ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

23 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

24 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

25 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

26 ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

27 საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სალომე თოთიბაძეს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტს, რათა მას ვიზიტის თაობაზე პოზიცია დაეფიქსირებინა.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს თავმჯდომარეობდა საერთაშორისო ექსპერტი, მარი გუტიერეზ კოლონ პლანა. პროგრამა აგებული არის კარგად, სწორად ვითარდება სწავლის შედეგების და სტრუქტურის გარშემო, ითვალისწინებს სტანდარტით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს, უზრუნველყოფილია მატერილაური რესურსებით, ვიზიტის დროს განხორციელდა შეხვედრები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან, პროგრამის განვითარების მიზნით შემუშავდა რეკომენდციები და რჩევები. პროგრამა პირველი და მეორე სტანდარტის მიხედვით მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს. რეკომენდაციების რეზიუმე შემდეგია, სასურველია გამოყენებითი, ინსტრუქციული ინგლისურის სწავლებისას და შეფასებისას ინტეგრირება სასწავლო კურსებში, სასურველია სილაბუსებში ასახული იყოს რომელ ენაზე მიმდინარეობს სწავლება, საჭიროა მეტი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის, აუცილებელია მეტი კრიტიკული აზროვნება და საუბრის უნარის გამომუშავებაზე ორიენტირებული კურსების არსებობა, სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა გაიარონ უფორ მეტი კურსები. ზოგიერთი საგნის ბიბლიოგრაფია საჭიროებს განახლებას და გამდიდრებას ცოცხალ ენასთან კავშირით, რომლიც კარგად მოერგება საფეხურის თემატიკას და კომპეტენციებს. ცალკეულ შემთხვევებში უნდა გადაიხედოს კრედიტების განაწილება კურსის შინაარსისა და მოცულობის მიხედვით. მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს ზოგად ტრანსფერული უნარების განვითარებაზე ვინაიდან აღნიშნული მიმართულებით გამოიკვეთა მცირე ხარვეზები დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს. პროგრამის შეფასება უნდა მოიცავდეს მეტ მრავალფეროვნებას, მეტად უნდა გეკეთდეს აქცენტი განმავითარებელ არაფორმალურ შეფასებაზე და იყოს ნაკლებად სტრესული სტუდენტებისათვის. ძირითადად შეფასება მოიცავს სამი ტიპის გამოცდას და მასში ნაკლებად არის ინტეგრირებული განმავითარებელი შეფასების მექანიზმები.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა, რას ნიშნავდა კრიტიკული აზროვნება ინგლისურ ენაზე.
ექსპერტმაგანაცხადა, რომ ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება კურსების შეთავაზებაზე რომელიც უფრო მეტად ავითარებს კრიტიკულ უნარ-ჩვევებს, კრიტიკულ კითხვას, კრიტიკულად აზრის დასაბუთებას წერაში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასკვნაში ასახული იყო სწავლის შედეგები სწორად არის გაწერილი, შეესაბამება საკვალიფიკაციო დონეს და ა.შ. ფაქტიურად კრიტიკული აზროვნების უნარი არის იგივე დასკვნის უნარი ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, თითქოს ერთმანეთს ეწინააღმდეგება დასკვნაშო მოყვანილი რამოდენიმე წინადადება. შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით შესაძლოა მოხდა გაუგებრობა, მათ აქვთ განმავითარებელი შეფასება, დასკვნაში წერია რომ

იყენებენ ქვიზებს, საკურსო ნაშრომს, პრეზენტაციებს. რას გულისხმობს სხვა განმავითარებელი შეფასება თუ არა ყოველივე ამას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ჯგუფმა იგულისხმა თითოეულ უნარ-ჩვევაზე მორგებული შეფასების მექანიზმი. ქვიზი არ ამოწმებს კრიტიკულად აზრის დასაბუთებას, პრეზენტაცია ხორციელდება მხოლოდ ერთი ადამიანის მიერ და ვერ აფასებს სხვა ადამიანთან კომუნიკაციის უნარს.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქვიზი არის ყოველკვირეული შეფასება რომელიც შეიძლება იყოს ზეპირი და წერითი, ლექტორები იყნებენ ყოველკვირეულ შეფასებას. ასევე დასკვნაში მითითებული რეკომენდაცია კვლევით სტატიებთან დაკავშირებით, საბაკალავრო დონეზე არ არის სავალდებულო.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ქვიზი არ არის განმავითარებელი შეფასების ფორმა. განმავითარებელი შეფასება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი სტუდენტის განვიტარებისათვის, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენისათვის. სტუდენტებთან და კურსდამთავრებუებთან საუბრის დროს გამოიკვეთა რომ მათ იცოდნენ ქულები, ხოლო ქულის ცოდნა არ ნიშნავს განმავითარებელ შეფასებას. საუბარი ეხება შეფასების ფორმების გამრვალფეროვნებას. განმავითარებელი შეფასება მოცავს სტუდენტის მიერ თავისი ნაშრომის შეფასებას, ჯგუფელის შეფასებას და ა.შ. დასკვნითი გამოცდა პირდაპირ იყენებს იმ რუბრიკას რომელიც გამოიყენება ეროვნულ გამოცდაზე წერითი ნაშრომის შეფასებისას. აღნიშნულის თაობაზე განხორციელდა გასაუბრება სილაბუსის ავტორთან. დასკვნითმა გამოცდამ უნდა გამოავლინოს რომ დასკვნითი გამოცდის საბოლოო შედეგი იქნება B2 დონე. აუცილებელი არის სქემის შეცვლა და მორგება აღნიშნულ დონეზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შემდეგი რეკომენდაცა:

„სტუდენტები უკეთ უნდა იყვნენ მომზადებული კრიტიკულ აზროვნებაში და კომუნიკაციური უნარების შეძენაში იმგლისურ ენაზე"

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-

2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[28] | ინგლისური ფილოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[29] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 04 დეკემბერი, №240 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[30] | ინგლისური ფილოლოგია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[31] | ბაკალავრიატი |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[32] | მეექვსე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[33] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0231 ენის დაუფლება |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[34] | 100502 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი[35] | საქართველო 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №68, კორპუსი 2 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[36] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

[28] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[29] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[30] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[31] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[32] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[33] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[34] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[35] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[36] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

**3.** მესამე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ანგლისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[37] | ანგლისტიკა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[38] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 10 დეკემბერი, №255 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[39] | ინგლისური ფილოლოგია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[40] | მაგისტრატურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[41] | მეშვიდე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[42] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0231 ენის დაუფლება |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[43] | 100502 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი[44] | საქართველო 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №68, კორპუსი 2 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[45] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

[37] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[38] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[39] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[40] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[41] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[42] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[43] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[44] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[45] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ კი

ნინო ლიპარტია, თეა მჭედლური

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სალომე თოთიბაძეს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტების მიხედვით პროგრამა შესაბამისობაში იყო პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტის მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად არის შესაბამიობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ორი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სწავლის მეთოდების დამატებას, რომელიც ორიენტირებულია კრიტიკული აზროვნების და პერსონალური უნარების განვითარებაზე და კველაზე უფრო მეტად მორგებული სწავლა-სწავლების მეთოდების დანერგვაზე. მეორე რეკომენდაცია ეხება შეფასაბეს, ერტ და იმავე ტიპის ქვიზებით და გამოცდებით ფასდება მაგისტრების უნარ-ჩვევები, აუცილებელია შეძლებისდაგვარად ყველა უნარის შეფასება.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა ნახეს თუ არა სამაგისტრო ნაშრომები და რა შთაბეჭდილება დარჩათ.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ნახეს სამაგისტრო ნაშრომები, მაგრამ სასურველია რომ ის ლიტერატურა რომელიც გამოყენებულია სამაგისტრო ნაშრომების შექმნის დროს იყოს ინგლისურ ენაზე და არა ქართული თარგმანი. ჯგუფის მიერ ნანახი ნაშრომები არ იყო შეფასებული ზალიან მაღალი ქულით მაგრამ ასე თუ ისე შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს. მათ ნახეს სხვადასხვა შეფასების მქონე დაცული ნაშრომები, ადგილზე გასცეს გარკვეული რეკომედაციები ნაშრომებთან დაკავშირებით.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 17:15 სთ
დამთავრების დრო - 17:35 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ანგლისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ანგლისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

17:35 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[46] | ანგლისტიკა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[47] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 10 დეკემბერი, №255 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[48] | ინგლისური ფილოლოგია |

[46] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[47] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[48] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

| | | |
|---|---|---|
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[49] | მაგისტრატურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[50] | მეშვიდე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[51] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0231 ენის დაუფლება |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[52] | 100502 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი[53] | საქართველო 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №68, კორპუსი 2 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[54] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[55] | არქეოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[56] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2012 წლის 18 ივლისი, №243 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[57] | არქეოლოგია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[58] | დოქტორანტურა |

---

49 ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

50 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

51 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

52 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

53 ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

54 საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

55 დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

56 ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

57 საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

58 ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

| | | |
|---|---|---|
| 7 | კვალიფიკაციის დონე[59] | მერვე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | არქეოლოგიის დოქტორი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[60] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0222 ისტორია და არქეოლოგია |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[61] | 0222 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 14 | განხორციელების ადგილი[62] | საქართველო 0179, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. №13, VIII აკადემიური კორპუსი |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[63] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

ლევან გორდეზიანი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

---

59 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

60 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

61 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

62 ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

63 საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით დაეფიქსირებინათ პოზიცია.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს უხელმძღვანელა საერთაშორისო ექსპერტმა ბერტილე ლიონეტმა, დასკვნაში არ ფიქსირდება რეკომენდაციები, თუმცა ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი შეთავაზებები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. ასეთი რჩევებია" შეფასების კრიტერიუმების უფრო მეტად გამჭვირვალეობა, წინაპირობად ინგლისური ენის B2 დონეზე მოთხოვნა, რადგან ერთ-ერთი სავალდებულო კურსის ძირითადი ლიტერატურა იყო ინგლისურ ენაზე, დაწესებულებას ჰქონდა სამი ევროპული ენიდან მოტხოვნილი ერთ-ერთი, ხოლო ჯგუფმა მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ინგლისური ენა ყოფილიყო სავალდებულო. ასევე დასკვნაში წარმოდგენილი იყო კონკრეტული რჩევები.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია და დისკუსია

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს სადოქტორო საფეხურზე რამდენად სავალდებულოდ მიაჩნდათ ინგლისური ენის B2 დონეზე მოთხოვნა.
ექსპერტმა უპასუხა, რომ აღნიშნული შეთავაზება ძირითადად ეხებოდა აკადემიურ ლიტრატურას, ერთ-ერთი ძირითადი კურსის ლიტერატურა იყო ინგლისურ ენაზე. ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებული იყო, რომ დაემატებოდა ლიტერატურა ფრანგულ და გერმანულ ენაზე.
სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული რჩევა მისი მოსაზრებით უნდა ყოფილიყო რეკომენდაციის სახით წარმოდგენილი.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საერთო საუნივერსიტეტო რეგულაციის თანახმად წინაპირობად მითითებული არის სამი უცხო ენიდან ერთ-ერთი. პროფესორებს არ აქვთ უცხო ენის ცოდნის პრობლემა, ინგლისურთან ერთად რამოდენიმე პროფესორმა იცის გერმანული ენაც, ასევე სტუდენტებიც ფლობენ ინგლისურ ენას და დადიან საზღვარგარეთ ექსპედიციებში.
სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ნახეს თუ არა ექსპერტებმა სადოქტორო ნაშრომები.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ნახეს 4 სადოქტორო ნაშრომი, შესრულებულია მაღალი ხარისხით, თუმცა ექსპერტებს კითხვები გაუჩნდათ დარგობრივი სემინარის მოცულობასთან დაკაშირებით, ანიჭებდა 15 კრედიტს, მათ ჰქონდათ რჩევა რომ აუცილებლად უნდა ყოფილიყო შემუსავებული სილაბუსი სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი მოთხოვნები.
დაწესებულების წარმომადგენლის არგუმენტის თანახმად, შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციის მიხედვით 15 გვერდიანი მოხსენება მეტყველებს იმაზე, რომ სტუდენტები მუშაობენ სერიოზულად და რეფერატის ნაცვლად წარმოადგენენ კვლევით ნაშრომს. აღნიშნული გათვალისწინებულია სასწავლო კომპონენტში.
საბჭოს წევრი დაინტერესდა, მირების დროს ცხადდება თემატიკა წინასწარ თუ ჩარიცხული სტუდენტი შემდგომ ირჩევს საკვლევ თემას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თემატიკა წინასწარ არ არის განსაზღვრული, თემის ხელმძღვანელს აუცილებლად აქვს შიდა რეგულაციების თანახმად დარგში გამოცდილება, ჩაბარების დროს სავარაუდო ხელმძღვანელთან ხდება შეთანხმება და რელაურად მოდის თავისი პროექტით.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 18:44 სთ
დამთავრების დრო - 18:52 სთ

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

17:48 საათზე სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა, სალომე თოთიბაძემ და ნინო ლიპარტიამ.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[64] | არქეოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[65] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2012 წლის 18 ივლისი, №243 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[66] | არქეოლოგია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[67] | დოქტორანტურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[68] | მერვე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | არქეოლოგიის დოქტორი |

[64] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[65] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[66] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[67] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[68] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

| | | |
|---|---|---|
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[69] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0222 ისტორია და არქეოლოგია |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[70] | 0222 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 14 | განხორციელების ადგილი[71] | საქართველო 0179, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. №13, VIII აკადემიური კორპუსი |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[72] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

[69] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[70] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[71] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[72] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

5. მეხუთე საკითხი: შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[73] | ფილოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[74] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2012 წლის 18 ივლისი, №243 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[75] | არქეოლოგია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[76] | დოქტორანტურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[77] | მერვე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | არქეოლოგიის დოქტორი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[78] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0222 ისტორია და არქეოლოგია |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[79] | 0222 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 14 | განხორციელების ადგილი[80] | საქართველო 0179, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. №13, VIII აკადემიური კორპუსი |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[81] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

[73] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[74] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[75] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[76] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[77] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[78] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[79] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[80] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[81] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, ლევან გორდეზიანს.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით დაეფიქსირებინათ პოზიცია.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე გახლდათ საერტაშორისო ექსპერტი, რომელიც ვერ ახერხებდა სხდომაზე ჩართვას, მისი მოსაზრებით მისასალმებელი იყო როდესაც უნივერსიტეტი ეჭიდებოდა ნაკლებად მომგებიან პროგრამას როგორიც იყო ლინგვისტიკა, განსაკუთრებით სადოქტორო საფეხურზე, რაც გულისხმობს ახალი მეცნიერების გამოშვებას, თუმცა პირველი პრობლემა რაც გამოიკვეთა იყო დასაქმების სფერო, ძირითადად კურსდამთავრებულები საქმდებოდნენ ინგლისური ენის მასწავლებლებად ად მთარგმნელ-რედაქტორებად. ასეთი პოზიციებისათვის არ არის საჭირო ასეთი მაღალი აკადემიური ხარისხი. ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო რეკომენდაციები.
ა) პროგრამა უნდა მოიცავდეს შუალედური შეფასების ანგარიშს: კონკრეტულ პერიოდში (დაცვამდე 6 თვეზე ადრე მაინც) კვლევა უნდა წარედგინოს გარე შემფასებელს, რათა ისინი დაეხმარონ სტუდენტებს თავიანთი უკუკავშირით. არსებობს დოკუმენტი, რომელიც აღწერს პროცედურას, მაგრამ იქ არ არის ასახული ვადების შესახებ ინფორმაცია ან სახელმძღვანელო ამის თაობაზე, რათა თავიდან აცილებული იქნას იმის შესაძლებლობა, რომ შეფასება მოხდეს ნაშრომის დაცვამდე ერთი თვით ადრე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ კურსდამტავრებულებთან ინტერვიუმ ცხადჰყო რომ ყოფილა წინასწარი დაცვა ერთი თვით ადრე რაც ჯგუფის მოსაზრებით არის ძალიან მცირე პერიოდი და თუ რეალური ხარვეზებია გამოსასწორებელი ერთ თვეში ეს შეუძლებელია. ასევე აუცილებელია გარე ექსპერტის ჩართვა, როგორც ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი.
ბ) სტუდენტები ინფორმირებულები უნდა იყვნენ საერთაშორისო, რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნების აუცილებლობის შესახებ (არამხოლოდ ადგილობრივ ჟურნალებში). ხელმძღვანელმა ძლიერად უნდა წაახალისოს სულ მცირე ერთი ნაშრომის გამოქვეყნება თეზისთან დაკავშირებულ თემაზე ასეთ ჟურნალებში. ეს არის საუკეთესო გზა რათა მოხდეს შინაარსის კონტროლი (ეს მიღებული პრაქტიკაა სადოქტორო პროგრამებისთვის).
ექსპერტის განცხადებით აღნიშნული გაზრდის სტუდენტის სადისერტაციო ნაშრომის ხარისხს. საერთაშორისო ექსპერტის მოსაზრება გახლდათ რომ ეს შესაძლოა არ იყო სავალდებულო მაგრამ იყო აუცილებელი ხარისხის დონის მიზნით.
გ) პროგრამას უნდა ჰქონდეს საჯარო პროტოკოლი ან გზამკვლევი, თუ როგორ უნდა დაიწეროს ნაშრომი (ოფიციალური სტრუქტურა, რა უნდა იყოს პირველ გვერდზე, უნივერსიტეტის ლოგო, გვერდების რაოდენობა, ბიბლიოგრაფიის მითითების ტიპი და ა.შ. ასევე შინაარსის გრაფა, რომელიც სტუდენტებს გამოადგებათ გზამკვლევად).

დ) ნაშრომის მეთოდოლოგიური ნაწილი უნდა შემოწმდეს კვლევის მეთოდოლოგიის ექსპერტების მიერ.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტები კი გადიოდნენ კვლევის მეთოდების კურსს, თუმცა ლექტორს ვინც კითხულობს აღნიშნულ კურსს, შემდგომში აღარ აქვს შეხება სტუდენტებთან და არ იცის რას წერენ სადისერტაციო ნაშრომში.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რა იგულისხმებოდა აღნიშნულ რეკომენდაციაში.
ექსპერტმა განაცხადა, რომ წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომებში ყველგან ფიქსირდებოდა ხარვეზი კვლევის მეთოდებში, როგორც აღინიშნა კურსის ლექტორის მიერ ვერარ ხდებოდა შეფასება თუ რა მეთოდები გამოიყენებოდა ნაშრომებში.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო თუ რატომ უნდა შეემოწმებინა კვლევის მეთოდების კურსის ლექტორს შემდგომში თუ როგორ იწერებოდა ნაშრომი. მისი მოსაზრებით ასეთ შემთხვევაში უნდა შეიცვალოს პედაგოგი, ლექტორს ვერ ექნება იმის საშუალება ამოწმოს ყველა სადისერტაციო ნაშრომი. უმჯობესი იენაბ აღნიშნული კურსის სწავლების გაძლიერება. სასურველი იყო რეკომედაციის ფორმულირების შეცვლა ვინაიდან აღნიშნული რეკომენდაცია ვერ შესრულდება.
საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ აღნიშნულის ვადლებულება უნივერსიტეტს ვერ ექნება.
საბჭოს წევრი, თეა მჭედლური დაინტერესდა გგამოყენებული იყო თუ არა სადისერტაციო ნაშრომებში კვლევის მეთოდები, ვინაიდან იქმნებოდა შთაბეჭდილება რომ კვლევის მეთოდებს არ იყენებდნენ ნაშრომების შექმნის დროს.
ექსპერტმა განაცხადა, რომ არ იყო წარმოდგენილი რა კვლევის მეთოდებს ეყრდნობა ნაშრომი. ამითომ გაჩნდა აღნიშნული კითხვა. კურსის ფარგლებში ლექტორს შეხება უნდა ჰქონოდა სტუდენტებთან და მოეცა რჩევები.
ე) ნაშრომის ზოგიერთი საკიტხი უნდა იყოს დაკავშირებული შრომის ბაზრის საჭიროებებთან.
აღნიშნული წარმოადგენდა ყველაზე დიდი პრობლემას, დასაქმება ხდებოდა ინგლისური ენის კურსებზე ან რედაქციებში, როდესაც ნაშრომები ეხება ლინგვისტიკურ-კოგნიტურ საკიტხებს რასაც პირდაპირი შეხება არ აქვს ენის კურსებთან.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რეკომენდაციის მიხედვით „ნაშრომის ზოგიერთი საკითხი დაკავშირებული უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან“ რაც გულისხმობდა, როგორ უნდა გაეგოთ საბჭოს წევრებს აღნიშნული რეკომენდაციის შინაარსი.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ნაშრომები უნდა იყოს რელევანტური იმ სფეროსთვის რომელშიც მუშაობას იწყებს შემდგომ კურსდამთავრებული.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამა არ იყო ორიენტირებული შრომის ბაზარზე. პირს შეუძლია დაიცვას დისერტაცია და არასდროს არ იმუშაოს.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ პროგრამას ორიენტაცია ჰქონდა ინგლისური ენის მასწავლებლის და არა მეცნიერის გამოშვებაზე. დოქტორის ხარისხი გარკვეულწილად ეხმარება სტუდენტს უკეთესი ინგლისური ენის გაკვეთილის ჩატარებაში, მაგრამ ინგლისური ენის მასწავლებლისათვის საკმარისია ინგლისური ენის მეთოდიკაში ბაკალავრის ხარისხი. ლინგვისტიკის წარმოადგენს ისეთ დარგს, რომელიც შეზღუდულია შრომის ბაზარზე, შემდგომი დასაქმება ხდება ძირითადად ან უმაღლეს სასწავლებელში ან კვლევით ინსტიტუტში. წარმოდგენილი კურსდამთვარებულებიდან მხოლოდ ერთი კითხულბს კურსს ენათმეცნიერებაში. პრობლემა არის ის, რომ მიღებული ცოდნა არ არის ორიენტირებული გაგრძელდეს კვლევით პროექტში.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ვერ დაარეგულირებდა დასრულების შემდგომ სად იმუშავებს კურსდამთავრებული. თუ უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს იმ დონის დოქტორანტის გამოშვებას რომელიც საქმიანობას გააგრზელებს კვლევაში და იძულებულია იმუშაოს მასწავლებლად მაშინ აღნიშნული წარმოადგენს პროგრამის პრობლემას.
ექსპერტმა განაცხადა, რომმ კურსდამთავრებულები საქმდებიან ამავე უნივერსიტეტში არსებულ ენების ცენტრებში. ამისათვის არ არის აუცილებელი დოქტრის ხარისხი ლინგვისტიკაში. ნაშრომებიც ლინგვისტიკაში არ არის იმ ხარისხის რაც შეიძლება იყოს მსოფლიო დონის.
ვ) შეამოწმეთ საგნების შინაარსი: ზოგიერთი შინაარსი არ უკავშირდება მათ კვლევებს, (არამედ ამზადებს მათ პედაგოგებად, მაგრამ ამშემთხვევაში საგანი სამაგისტრო პროგრამაში უნდა იყოს შეტანილი).
ზ) უფრო მრავალფეროვან თემებს უნდა მოიცავდეთ (კვლევის იმავე სფეროში).

ექსპერტმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი იყო ერთმანეთის მსგავსი დისერტაციები, განსხვავება იყო მხოლოდ კონცეფციაში. სტრუქტურალ ყველა სადისერტაციო ნაშრომი იყო კლონირებული, ერთნაირი სტრუქტურის და აგებულების მქონე.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ექნებოდა დებულება სადაც გაწერილი იქნებოდა ნაშრომის შესრულების წესები.
ექსპერტმა განაცხადა, რომ მისი მოსაზრება ეხებოდა შინაარსობრივ ნაწილს. გადახედილი დისერტაციების ხელმძღვანელიც გახლდათ ერთი და იგივე პიროვნება. აღნიშნული ცხადჰყოფს რომ არ არის სათანადო ბაზა იმისათვის რომ პროგრამა განხორციელდეს სათანადო დონეზე. თუ მიმართულება არის ინტერდისციპლინური მაშინ თემებიც უნდა იყოს სხვადასხვა, შესაბამისი მიმართულების პროფესორის ჩართულობით.
თ) სტუდენტმა მეტი ინფორმაცია უნდა მიიღოს იმის თაობაზე, თუ როგორ გამოქვეყნონ სტატიები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, რამდენადაც ისინი არ აქვეყნებენ ასეთ ჟურნალებში და შესაბამისად კვლევის ხარისხიც შეიძლება გარკვეულ ეჭვს ბადებდეს.
ი) დაცვის სესახებ საჯარო ინფორმაცია უნდა გამოყვექნდეს (ნაშრომის ჩაბარება, მისის საჯარო განხილვა, დაცვაზე დაშვება, დაცვის თარიღი და ა.შ).
საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ პირველ და მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამას ჰქონდა სილაბუსი „აკადემიური წერა" , სადაც მითითებული არის თუ როგორ უნდა გამოქვეყნოს დოქტორანტმა სტატია, მას აინტერესებს იძლევა თუ არა აღნიშნული სილაბუსი შედეგეს და აძლევს თუ არა სტუდენტს სათანადო ინფორმაციას.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ფორმალურად აღნიშნული სილაბუსი არსებობს, თუმცა ნაშრომებში არ არის დაცული მითითებები.
კ) ნაშრომის შექმნის პროცესში იგი უნდა შეფასდეს დამოუკიდებელი ჯგუფის მიერ მინიმუმ 1 წლით ადრე და მიმდინარე ნაშრომის შესახებ ანგარიში გაეგზავნოს კანდიდატს, რათა მას ჰქონდეს დო კვლევის რარაც ნაწილის შესაცვლელად საჭიროების შემთხვევაში.
ლ) პროგრამა უნდა იყოს დაკავშირებული ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებთან ერთი ან რამდენიმე კვლევითი ჯგუფის ფარგლებში, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ და ისწავლონ რეალურ კვლევით გარემოში ყოფნის გამოცდილებიდან.
მ) სტუდენტებს უნდა ეცნობოთ იმ გზების შესახებ, რითაც შესაძლებელია ადგილობრივ და საერტაშორისო სამეცნიერო ქსელებში ინტეგრირება, თუ როგორ გამოქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები რეცენზირებად კვლევით ჟურნალებში.

## საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია და დისკუსია

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დისერტაციის დაცვა არის საჯარო, გაწერილი არის დებულბაში და დასტურდება დოკუმენტურად.
ექსპერტმა განაცხადა, რომმ აღნიშნული გულისხობს დაცვაში უფრო მეტი გარე შემფასებლის ჩართულობას. თუ არსებული ხარისხის ნაშრომების დაცვა ხდება და შიდა რესურსები არ არის საკმარისი ესე იგი ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა გარე შეფასება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, როდესაც დოქტორანტი იწყებს დისერტაციის წერას, ხდება თუ არა შუალედში შემოწმება თუ დოქტორანტი ბოლოს მოდის მზა პროდუქტით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭო, იგი იქმნება მას შემდეგ რაც დოქტორანტი ჩაირიცხება სადოქტორო პროგრამაზე, საბჭოში მისი ხელმძღვანელის გარდა შედის ორი წევრი, დარგის სპეციალისტი, რომელიც თავიდან ბოლომდე მონიტორინგს უწევს პირველ რიგში კვლევითი კომპონენტის განხორციელებას, გაწერილია სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესი, სადისერტაციო ნაშრომი მინიმუმ სამი სხვადასხვა ეტაპის გავლით შეიძლება მივიდეს იმ წინასწარ დაცვამდე რომელიც ტარდება ერთი თვით ადრე საჯარო

დაცვამდე. თუმცა ეს არ არის ერთადერთი მომენტი როდესაც ფასება ნაშრომის კვლევითი თავისებურებები. სამი ეტაპი მოიცავს კვლევით სემინარს, სადაც აკუმულირებულია კვლევის მეთოდოლოგია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფმა ნახა თუ არა აღნიშნული დოკუმენტი, გაეცნო თუ არა აღნიშნულ მექანიზმებს და მაინც ჩამოაყალიბეს რეკომენდაციები.
ექსპერტმა განაცხადა, რომ დოკუმენტურად ყველაფერი მოცემული არის კარგად. პრობლემას წარმოადგენს შედეგი, საბოლოო პროდუქტი. ამ პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ითქვა რომ თუ წინასწარი დაცვა ერთი თვით ადრე ხდება და არის გარკვეული ხარვეზები, აღარ არის იმის დრო რომ გაუმჯობესდეს ნაშრომი.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ძირითადად წინასწარი დაცვის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოგცეს ან არ მოგცეს ნებართვა დაცვაზე გასასვლელად, თუ არსებობს ხარვეზები გადაგიწიოს ვადა ან საერთოდ არ დაგიშვას დაცვაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს მიერ განხორციელებული მონიტორინგი მიმართული სწორად იქეთ რომ ერთი თვით ადრე წინასწარ დაცვაზე არ მოხდეს ხარვეზების დაფიქსირება. ხარვეზების დამოსწორება სამ ეტაპად ხდება ბევრად ადრე ვიდრე დაინიშნება წინასწარი დაცვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის - 3/ნ ბრძანების თანახმად, სადოქტორო საფეხურზე სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასება უნდა მოხდეს ერთჯერადად. დაწესებულება აღნიშნულიდან გამომდინარე ძველი რეგულაციების შესაბამისად სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა იყო გაყოფილი სემესტრების მიხედვით და ფასდებოდა კრედიტებით. დაწესებულება დაექვემდებარა ახალ ბრძანებას თუმცა ძველი რეგულაციის დადებითი კუთხის მიხედვით გადაწყდა შექმნილიყო საბჭო, რომელიც მუდმივად შეამოწმებს სამეცნიერო კვლევით აქტივობებს და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე წარმოადგენდა შეფასების პერიოდულობას. ერთი თვით ადრე შეფასება არ გულისხმობს შინაარსობრივი ნაწილის შეფასებას და გულისხმობს ტექნიკურ მხარეს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციიდან ბევრი რამ არ იქნა მხედველობაში მირებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ. დოქტორანტები აქვეყნებენ თავიანთ ნაშრომებს სართაშორისო ჟურნალ „სკრიპტამანიტში", რომლის სარედაქციო საბჭოში შედიან მსოფლიოში არიარებული ლინგვისტები. რაც შეეხება სკოპუსის ბაზებში გამოქვეყნებას, აღნიშნულის ვალდებულა არ არის არც კანონით და არც სადოქტორო სწავლების დებულებით, რაც შეეხება ნაშრომებს ისინი ქვეყნდება საერთაშორისო რეცენზირებად რეიტინგულ ჟურნალებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ რომელიმე ნაშრომში აღმოჩნდა დარღვეული ციტირების წესი და ასეთს ნამდვილად ჰქონდა ადგილი, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტს არ აქვს სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესი. არნისნული წესი გადაგზავნილი იყო ექსპერტებისათვის პირველადი დასკვნის შემდეგ, თუმცა არ იყო გათვალისწინებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა მეთოდოლოგიასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გაზიარებული არის დაწესებულების მიერ. თუ კი დისერტაციის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭირო იქნება დამატებითი კონპეტენცია თვისებრივი კვლევის სპეციალისტისაგან, ასეთ შემთხვევაში შეტანილი არის შესწორება სამეცნიერო კვლევითი საბჭოს მუშაობის წესში და ასეთ შემთხვევაში საბჭოს დაემატება დამატებითი წევრი კვლევითი მეთოდოლოგიის მიხედვით. რეკომენდაცია გამოიწვია იმან, რომ საკმაოდ პრობლემატური აღმოჩნდა საერთაშორისო ექსპერტისა და საკვლევი სფეროების პრინციპული არ დამთხვევა და განსხვავება, რომელსაც გვთავაზობს პროგრამა. საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც ხელმძღვანელობდა ექსპერტთა ჯგუფს ფლობს გამოყენებითი ლინგვისტიკის ხარისხს. იგი სადისერტაციო ნაშრომებში ეძებდა თვისებრივი კვლევის მეთოდებს, რაც ვერ აღმოჩნდებოდა სადისერტაციო ნაშრომებში იმ უბრაო მიზეზის გამო, რომ კონცეპტები რომელიც იყო ნახსენები ეყრდნობა „ზერკლის" „ფრეიმნეტის" ბაზის გამოყენებას, ხოლო „ფრეიმნეტი" ტავად არის თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენების შედეგად მირებული კონსტრუქტები. რაც შეეხება ბაზართან ბმას, ბაზრის და ზოგადად დამსაქმებელთა მოთხოვნები არასსოდეს არ გულისმობს სადისერტაციო ნაშრომის რომელიმე ნაწილზე მოთხოვნას, ბაზარზე მოტხოვნა შეიძლება გაჩნდეს იმ უნარებზე, რომელიც გენერირდება ამა თუ იმ პროგრამის ფარგლებში. ბევრჯერ გაისმა რეკომენდაცია, რომელიც მცდარია თავისი არსით, დაწესებულება არ ამზადებს პედაგოგებს, აღნიშნული არ არის არსად

მითითებული და არც პროგრამის მიზანს არ წარმოადგენს. წარმოუდგენელია დაწესებულებამ პასუხი აგოს დოქტორანტის დასაქმების ადგილზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმებოდა რეკომენდაციას, რომელიც უკავშირდებოდა ერთ ხელმძღვანელს. ხელმძღვანელების სია შედგება ხუთი ადამიანისაგან, ასევე გაუგებარია თემათა მრავალფეროვნება რა კრიტერიუმით დადგინდა, თანამედროვე ფილოლოგიაში არ თვლიან სადისერტაციო ნაშრომის თემებს, ითვლება იმ პარადიგმათა რაოდენობა და მრავალფეროვნება რომელშიც შეიძლება განხორციელდეს ნაშრომი. არ არსებობს ლინგვისტიკა რომელიც არ არის კოგნიტური, ენა თავად კოგნიტური უნარია და სავარაუდოდ ამ სიტყვამ შეიძინა როგორც ჩანს გარკვეული მისტიური შინაარსი. მეთოდოლოგიურად ნაშრომები გამართულია, თუმცა დაცულია კონცეპტუალური ანალიზი.

საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით დოქტორანტურის კურსდამთავრებულები, რომლებიც მუშაობენ ენის ცენტრებში და არ საქმდებიან არცერთ კვლევით ინსტიტუტში, წარმოადგენს პროგრამის პრობლემას და ეს არ არის ადამიანის პრობლემა. ძალიან ბევრ უნივერსიტეტში არსებობს კვლევითი ცენტრი. აღნიშნულს ვერ დააბრალებენ ბაზრის პრობლემას.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო სადისერტაციო ნაშრომების თემატიკის სია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შინაარსობრივად მეთოდოლოგიას აუცილებლად უნდა ეთმობოდეს ერთი თავი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ჩაშლილია პრაქტიკულ ნაწილში და დეტალურად არის გაწერილი მეთოდოლოგია შესავალში.

საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ განაცხადა, რომ დისერტაციაში მეთოდოლოგია უნდა იყოს წარმოდგენილი ნათლად ცალკე თავის სახით, როდესაც საუბარია ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ნაშრომებში არსებობდა რამოდენიმე გვერდი სადაც არ იყო მითითებული წყარო, რაც თავისთავად წარმოადგენდა პლაგიატს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნაშრომები პლაგიატზე მოწმდება სპეციალური პროგრამის მეშვეობით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ თუ მოხდებოდა შინაარსის პარაფრაზირება ანტიპლაგიატის პროგრამა ვერ მოახდენდა იდენტიფიცირებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც სპეციალური პროგრამით შემოწმდება ნაშრომი პლაგიატზე, უნივერსიტეტში არსებული სპეციალური კომისია დადარების პრინციპით მსჯელობს აწარბებს თუ არა მოცემულობა დადგენილ პროცენტს. ტექნიკურ ნაწილში არ უნდა მოხდეს ციტირების გამორჩენა და აღნიშნულის თაობაზე უნივერსიტეტი მუშაობს. რაც შეეხება სკოპუსის ბაზაში გამოქვეყნებას, დაწესებულებას დაახლოებით ორი წლის მანძილზე დაწყებული აქვს აღნიშნული მიმართულებით მუშაობა, პირველ რიგში ფინანსური წახალისება ეძლევათ მათ აკადემიურ პერსონალს და მათი ინეტერსიც არის რომ მოხდეს სკოპუსის ბაზებში გამოქვეყნება, ვინაიდან გავლენას ახდენს საერთაშორისო რეიტინგზე. უნივერსიტეტს დებულების დონეზე აქვს გაწერილი და იღებს ვალდებულებას რომ დააფინანსოს გამოქვეყნების ხარჯები, თუმცა ვერ მოხდება აღნიშნული მიმართულებით დოქტორანტების დავალდებულება.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ თუ ნაშრომები ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას, მისი მოსაზრებით რეკომენდაციები არის ძირითადად გარკვეული რეგულაციები, რომლის დაწესების უფლება რამდენად მიაზნშეწონილია საკითხავია. უნდა შეფასეს რამდენად ღირებულია პროდუქტი და როგორ ახერხებს უნივერსიტეტი მის ობიექტურად შეფასებას. სასურველია რეკომენდაციებში უფრო მეტად ყოფილიყო აღნიშნული რომელი სტანდარტი დაირღვა და რაში გამოიხატა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესაძლოა შეცდომა იყო ექსპერტთა ჯგუფისათვის ახალი დაცული კვლევების მიწოდება კოგნიტოლოგიაში, ვინაიდან სფერო იყო ახალი და შეფასებებიც არ იყო მაღალი.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა მიმართა ექსპერტს გამოეხატა მისი მოსაზრება დაცულ ნაშრომებტან დაკავშირებით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ საერტაშორისო ექსპერტის მოსაზრებით ვიზიტის დროს შემოწმებული ნაშრომები საერთოდ არ უნდა ყოფილიყო დაცული და თავადაც ეთანხმებოდა თავმჯდომარის მოსაზრებას.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 19:00 სთ
დამთავრების დრო - 19:10 სთ

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას და რჩევების ნაწილში გადავიდა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) სტუდენტები ინფორმირებულები უნდა იყვნენ საერთაშორისო, რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნების აუცილებლობის შესახებ (არამხოლოდ ადგილობრივ ჟურნალებში). ხელმძღვანელმა ძლიერად უნდა წაახალისოს სულ მცირე ერთი ნაშრომის გამოქვეყნება თეზისთან დაკავშირებულ თემაზე ასეთ ჟურნალებში. ეს არის საუკეთესო გზა რათა მოხდეს შინაარსის კონტროლი (ეს მიღებული პრაქტიკაა სადოქტორო პროგრამებისთვის).
ბ) ნაშრომის მეთოდოლოგიური ნაწილი უნდა შემოწმდეს კვლევის მეთოდოლოგიის ექსპერტების მიერ.
გ) ნაშრომის ზოგიერთი საკითხი უნდა იყოს დაკავშირებული შრომის ბაზრის საჭიროებებთან.
დ) სადოქტორო ნაშრომს ერთზე მეტი მკვლევარი უნდა ხელმძღვანელობდეს (მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ხელმძრვანელი და ტუტორი. მაგრამ ტუტორი უნდა იყოს ექსპერტი მკვლევარი).
ე) სტუდენტმა მეტი ინფორმაცია უნდა მიიღოს იმის თაობაზე, თუ როგორ გამოქვეყნონ სტატიები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, რამდენადაც ისინი არ აქვეყნებენ ასეთ ჟურნალებში და შესაბამისად კვლევის ხარისხიც შეიძლება გარკვეულ ეჭვს ბადებდეს.
ვ) ნაშრომის შექმნის პროცესში იგი უნდა შეფასდეს დამოუკიდებელი ჯგუფის მიერ მინიმუმ 1 წლით ადრე და მიმდინარე ნაშრომის შესახებ ანგარიში გაეგზავნოს კანდიდატს, რათა მას ჰქონდეს დო კვლევის რარაც ნაწილის შესაცვლელად საჭიროების შემთხვევაში.
ზ) პროგრამა უნდა იყოს დაკავშირებული ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებთან ერთი ან რამდენიმე კვლევითი ჯგუფის ფარგლებში, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ და ისწავლონ რეალურ კვლევით გარემოში ყოფნის გამოცდილებიდან.
თ) სტუდენტებს უნდა ეცნობოთ იმ გზების შესახებ, რითაც შესაძლებელია ადგილობრივ და საერტაშორისო სამეცნიერო ქსელებში ინტეგრირება, თუ როგორ გამოქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები რეცენზირებად კვლევით ჟურნალებში.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

☐ აკრედიტაციის შესახებ

√ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3, მე-3$^{2}$ ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27$^{2}$ მუხლის პირველი პუნქტის, 27$^{5}$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მე-5 პუნქტის, 27$^{6}$ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლით და 6 თვით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[82] | ფილოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[83] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 24 დეკემბერი, №296 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[84] | ფილოლოგია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[85] | დოქტორანტურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[86] | მერვე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | ფილოლოგიის დოქტორი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[87] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[88] | 0232 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 14 | განხორციელების ადგილი[89] | საქართველო 0171, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77, უნივერსიტეტის II კორპუსი |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის | - |

[82] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[83] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[84] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[85] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[86] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[87] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[88] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[89] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

| | | |
|---|---|---|
| | წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[90] | |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი

საბჭოს მდივანი ნინო ლიპარტია

სხდომის მდივნები: სალომე თოთიბაძე

ლევან გორდეზიანი